

სოციალური მედია, როგორც ინფორმაციის გავრცელების პლატფორმა და
მისი როლი საზოგადოებრივ პროცესებში

სოფიო არჯევანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია: პრაქტიკა, კვლევა

მიმართულება: ჟურნალისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით პაიჭაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ კვლევა წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო არჯევანიძე, ს.არჯევანიძე

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო თემის მიზანს წარმოადგენს სოციალური მედიის აღწერა და მისი როლი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებში. კვლევაში მოცემული საკითხები განიხილავს სოციალურ მედიას, როგორც ინფორმაციის გამავრცელებელს, გარკვეული ზემოქმედების მომხდენსა და რიგ შემთხვევაში პროპაგანდის იარაღსაც. თემაში მოცემულია კონკრეტული მაგალითები, სადაც ჩანს, თუ რა მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ სოციალური მედია და რა ცვლილებები თუ გარდატეხა შეიძლება მოყვეს ამა თუ იმ აქტივობას. ასევე, აქვს თუ არა მას გავლენა საზოგადოებრივ აზრზე. თემაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სოციალურ ქსელ Facebook-ზე. თუ როგორ იყენებენ მას სამთავრობო სტრუქტურები. ასევე, მედიის მხრიდან ფეისბუქის გამოყენების სიხშირესა და ტენდენციებზე. პროპაგანდისტულ მაგალითად მოყვანილია POSTV - ანალიტიკისა და გართობის ვიდეოები. ასევე, ყურადღება არის გამახვილებული ფეისბუქის ფუნქცია Event-ზე და მისი საშუალებით მობილიზებულ არაერთ საპროტესტო თუ მშვიდობიან შეკრებაზე. ნაშრომი ემყარება თვისებრივ კვლევას კონტენტ და შედარებითი ანალიზის მეშვეობით. ასევე, თემაში გამოყენებულია დედუქციური მეთოდი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *სოციალური მედია, საზოგადოებრივი აზრი, ფეისბუქი, ინფორმაციის წყარო*

Abstract

This comparative research was conducted to illustrate the relationship(s) between social media use and its effect on forming the public opinion. Narrative part of the paper is examining social media as the source of the information spreading, process influencer and shaper and in some occasion main instrument of the propaganda. This comparative analysis is based on case study of contemporary examples which are clearly illustrating how, for what purposes we can use the social media and how the activities made through social media are reflected on reality. Main emphasis is made on Facebook - how it is instrumented by governmental bodies and traditional media sources – frequencies and tendencies of exploiting it. Referencing to the propaganda – paper explore the example of POSTV – analytical and entertaining videos. Given research also points up the function “EVENT” and it’s role in organizing public events like protests or peaceful meetings.

Key Words: *Social media, Public opinion, Facebook, Source of information.*

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მინდა მადლობა გადავუხადო თემის ხელმძღვანელს, პროფესორ დავით პაიჭაძეს. იგი მთელი სამუშაო პერიოდის განმავლობაში მიწევდა რეკომენდაციას და მადლევდა სასარგებლო რჩევებს, რომლებიც მოცემულ ნაშრომში გამოვიყენე.